საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

6479
27.05.2020

რეკონსტრუქციისა და განვითარების
საერთაშორისო ბანკს

ასლი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 22 მაისი N07-04/46576 წერილის პასუხად, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, და ასევე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების თანახმად, წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის 2020 წლის 01 მაისს ხელმოწერილი "COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი"-ს სასესხო (სესხი - 9113-GE) შეთანხმებასთან („სასესხო შეთანხმება") დაკავშირებით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა ზემოაღნიშნული სასესხო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია, აგრეთვე, გადაამოწმა საქართველოს კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ადასტურებს შემდეგს:

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის თაობაზე, რაც, შესაბამისად, გაფორმდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აპრილის №726 განკარგულებით.

2. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად, სასესხო შეთანხმების პროექტი შეთანხმებულ იქნა შემდეგ სახელმწიფო უწყებებთან:

i. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან (2020 წლის 30 აპრილის №5500 წერილი);

ii. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან (2020 წლის 29 აპრილის №01/11922 წერილი);

iii. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან (2020 წლის 29 აპრილის №07-05/41387 წერილი);

iv. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან (2020 წლის 29 აპრილის №09/2824 წერილი);

საქართველო, ქ. თბილისი, 0114,
გორგასლის ქ. 24 ა
ტელ.: +995 32 240 51 48
+995 32 240 58 36
info@justice.gov.ge
www.justice.gov.ge

v. საქართველოს ეროვნულ ბანკთან (2020 წლის 30 აპრილის №2-04/1194 წერილი);

vi. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (2020 წლის 30 აპრილის №01/4774 წერილი).

3. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ, რაც, შესაბამისად, გაფორმდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 აპრილის №745 განკარგულებით.

4. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გასცა უფლებამოსილება საქართველოს ფინანსთა მინისტრ, ივანე მაჭავარიანის მიერ საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, რაც, შესაბამისად, გაფორმდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 30 აპრილის №92 ბრძანებით.

5. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტი)" რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მაისი №5902 სს დადგენილებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ადასტურებს, რომ სასესხო შეთანხმება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის ამ შეთანხმების ძალაში შესვლას და, შესაბამისად, იგი წარმოადგენს საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას.

მიხეილ სარჯველაძე
მინისტრის პირველი მოადგილე